

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	18
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება	19
6. შემოსავალი	20
7. რეალიზაციის თვითღირებულება	20
8. საოპერაციო ხარჯები	21
9. გაუფასურების ზარალი	21
10. არასაოპერაციო შემოსავალი	21
11. არასაოპერაციო ხარჯი	22
12. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	22
13. მოგების გადასახადი	23
14. ძირითადი საშუალებები	24
15. აქტივის გამოყენების უფლება	25
16. გაცემული სესხები	25
17. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	26
18. საგადასახადო აქტივი, წმინდა	26
19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
20. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
21. მფლობელის კაპიტალი	27
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
23. საიჯარო ვალდებულება	27
24. პირობითი ვალდებულებები, ხარჯები და საოპერაციო რისკები	28
25. ფინანსური რისკის მართვა	29
26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანია დგას გარკვეული სირთულეების წინაშე 2020 წლის დასაწყისში კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებული შედეგებიდან გამომდინარე, როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, მე-2 შენიშვნაში განმარტებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა კომპანიის მიერ საქმიანობის, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები – დაკავშირებული მხარესთან ოპერაციები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაზე, სადაც დეტალურადაა აღწერილი კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

გელა მღებრიშვილი

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

30 აპრილი, 2020

თბილისი, საქართველო



შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	6	9,471,247	9,448,722
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(1,329,948)	(1,997,983)
საერთო მოგება		8,141,299	7,450,739
საოპერაციო ხარჯები	8	(1,858,206)	(1,926,666)
გაუფასურების ზარალი	9	(37,510)	-
საოპერაციო მოგება		6,245,583	5,524,073
არასაოპერაციო შემოსავალი	10	601,720	189,494
არასაოპერაციო ხარჯი	11	(1,491,302)	(1,608)
ფინანსური შემოსავალი	16	37,833	53,080
მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	12	332,117	172,007
ფინანსური ხარჯი		(3,496)	-
მოგება დაბეგვრამდე		5,722,455	5,937,046
მოგების გადასახადი	13	(1,023,461)	(738,982)
წლის წმინდა მოგება		4,698,994	5,198,064
სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)		-	-
სულ წმინდა სრული შემოსავალი		4,698,994	5,198,064

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 აპრილს:

აღმასრულებელი დირექტორი— შოთა რამიშვილი

შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	3,691,814	2,517,971
აქტივი გამოყენების უფლებით	15	31,829	-
არამატერიალური აქტივები		2,859	4,955
გაცემული სესხები	16	34,875	347,189
ძირ. საშუალებაზე გადახდილი ავანსები		-	846,935
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,761,377	3,717,050
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	17	2,162,879	3,293,125
გადახდილი ავანსები		67,007	43,617
საგადასახადო აქტივი, წმინდა	18	9,641	442,995
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	16	331,318	234,233
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	1,471,796	896,502
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	835,015	1,028,191
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,877,656	5,938,663
სულ აქტივები		8,639,033	9,655,713
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	21	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება	21	8,430,686	9,531,303
სულ კაპიტალი		8,431,686	9,532,303
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	182,763	123,410
საიჯარო ვალდებულება	23	24,584	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		207,347	123,410
სულ ვალდებულებები		207,347	123,410
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,639,033	9,655,713

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 აპრილს:

აღმასრულებელი დირექტორი- შოთა რამიშვილი

შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018		5,525,436	12,453,914	17,979,350
წლის სრული შემოსავალი	21	-	5,198,064	5,198,064
კაპიტალის შემცირება		(5,524,436)	-	(5,524,436)
გადახდილი დივიდენდი	21	-	(8,120,675)	(8,120,675)
31 დეკემბერი, 2018		1,000	9,531,303	9,532,303
წლის სრული შემოსავალი		-	4,698,994	4,698,994
გადახდილი დივიდენდი	21	-	(5,799,611)	(5,799,611)
31 დეკემბერი, 2019		1,000	8,430,686	8,431,686

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 აპრილს:

აღმასრულებელი დირექტორი— შოთა რამიშვილი

შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		5,722,455	5,937,046
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7, 8, 11	631,839	462,424
გაუფასურების ზარალი	9	37,510	-
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	12	(332,117)	(172,007)
ფინანსური შემოსავალი	16	(37,833)	(53,080)
ფინანსური ხარჯი		3,496	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		6,025,350	6,174,383
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ცვლილება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		1,130,246	(427,969)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(6,098,125)	(3,384,871)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(23,390)	(34,076)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		433,354	442,381
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		59,353	(12,191)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადისა და პროცენტების გადახდამდე:		1,526,788	2,757,657
მიღებული პროცენტები		37,833	53,080
გადახდილი პროცენტები		(3,496)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,023,461)	(1,145,130)
ფულადი სახსრების წმინდა შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		537,664	1,665,607
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(924,822)	(1,331,933)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(576)
გაცემული სესხის გადახდა		227,368	224,620
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(697,454)	(1,107,889)
ფინანსური საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(43,169)	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში		(43,169)	-
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(202,959)	557,718
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		9,783	96,507
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20	1,028,191	373,966
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	20	835,015	1,028,191

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 აპრილს:

აღმასრულებელი დირექტორი- შოთა რამიშვილი

შენიშვნები 10-32 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2006 წლის 1 დეკემბერს. შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ 100%-იანი მფლობელია აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია შპს „სპექტრა ინვესტორი“ (Spectra Investors LLC), რომლის მფლობელები არიან ფიზიკური პირი მარკ შელბერტი (51%) და Linde AG (49%) 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია პეტრე ქავთარაძის ქ. #46, საბურთალოს რ-ნი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია შოთა რამიშვილი, გენერალური დირექტორი - ლეონიდ როიტვარგ (უკრაინა).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სტაბილური იზოტოპებით, სუპერ გაწმენდილი გაზის ტექნოლოგიებისა და იზოტოპური შედუღების საშუალებით მოდიფიცირებული მასალების შექმნა და გამდიდრებული ბორის იზოტოპების წარმოება.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ეფექტური 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს დაწყებული 1 იანვრით და დამთავრებული 31 დეკემბრით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და ჩვეულებრივ გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს პროგნოზირებად მომავალში

2020 წლის განმავლობაში მოხდა კოვიდ-19-ის საკმაოდ სწრაფად და ფართოდ გავრცელება, დაინფიცირებულთა მაღალი რაოდენობით. ვირუსის შეჩერების მიზნით საჭირო ზომების მიღებამ არასასურველი ეფექტი მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელმაც თავის მხრივ იმოქმედა კომპანიაზეც.

კომპანიის საქმიანობა დგას რიგი შეზღუდვების წინაშე და ასევე ფინანსური სირთულეები წარმოექმნა ლოკალურ და გლობალურ დონეზე გადაადგილების შეზღუდვების, შემცირებული საბაზრო მოთხოვნისა და ეკონომიკის რეცესიის მოლოდინების გამო. ამგვარად, არსებობს დიდი ალბათობა, რომ კომპანიის შემოსავალი არსებითად შემცირდება 2020 წელში და შეუძლებელია ხსენებული კრიზისის ხანგრძლივობის საიმედოდ პროგნოზირება.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

რისკის შემამსუბუქებელი ფაქტორები:

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას აქვს საკმარისი ფინანსური რეზერვები და მყარი ფინანსური კოეფიციენტები, რათა გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს საპროგნოზო მომავალში და გაუმკლავდეს არსებულ კრიზისულ პერიოდს. ხელმძღვანელობის პოზიციას ამ საკითხის მიმართ ამყარებს კომპანიის შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არის 23.52 და 13.72, შესაბამისად (შენიშვნა 25), შესაბამისად ზემოაღნიშნული კოეფიციენტები არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი. გარდა ამისა, კომპანიის წმინდა ფულადი ნაკადების შემოდიდება საოპერაციო საქმიანობიდან არის 537,664 ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რომელიც კიდევ ერთი რისკის შემამსუბუქებელი ფაქტორია.

ამ რისკის შემამსუბუქებელი ფაქტორებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას აქვს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე 12 თვის მანძილზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701
საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:		
	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლეს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოეყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) წარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსურ აქტივებს მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ("ECL") გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების დარეზერვებისთვის გამოყენებული მატრიცა:

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	> 360 დღე
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 25-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქცეობა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქცეობა და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქცეობა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწრა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იქვითება არ იცვითება. ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების მიმდინარე ღირებულებებს, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში; ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივის მიხედვით;

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

შენობები	20-50
მანქანა-დანადგარები	1-20
ოფისისი აღჭურვილობა	1-10
სატრანსპორტი საშუალებები	10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მისადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

კომპანიამ მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ახდენს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასების გადახედვას. კომპანია იყენებს საკუთარ მსჯელობას გაუფასურების ზარალის განსასაზღვრად, იმ შემთხვევაში თუ დებიტორი იმყოფება გარკვეულ ფინანსურ სირთულეებში და არსებობს ისტორიული სტატისტიკა მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია განსაზღვრავს მომავალ ფულად ნაკადებს შემოწმებად მონაცემებზე დაყრდნობით. რომელიც მიუთითებს, რომ მოხდა უარყოფითი ცვლილებები გადახდების სტატუსში დებიტორების ჯგუფში, ეროვნულ თუ ადგილობრივ ეკონომიკურ მდგომარეობებში, რაც პირდაპირ კავშირშია კომპანიაში მოთხოვნების გაუქმებასთან. მენეჯმენტი იყენებს შეფასებებს საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ისტორიული დანაკარგების გამოცდილებაზე და მოთხოვნების ჯგუფში არსებული მსგავსი ობიექტური მტკიცებულებაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება

კომპანიამ მიმდინარე წლის ფულადი ნაკადის ანგარიშგების უკეთესად წარდგენის მიზნით ასახა რამდენიმე რეკლასიფიკაცია შესადარის ციფრებში, რომლებიც ეკუთვნის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდს. კერძოდ, გაცემული სესხების გადახდა 224,620 ლარის ოდენობით გადავიდა ფინანსური საქმიანობიდან საინვესტიციო საქმიანობაში, აგრეთვე ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ღირებულებით - 226,197 ლარი დარეკლასდა საოპერაციო საქმიანობიდან საინვესტიციო საქმიანობაში. რაც შეეხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ბანკის საკომისიო ხარჯი 39,749 ლარის ოდენობით დარეკლასდა ფინანსური ხარჯებიდან საოპერაციო ხარჯებში. ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ამ რეკლასიფიკაციების ზოგად ეფექტს წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ეფექტი 2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	1,891,804	(226,197)	1,665,607
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,558,706)	450,817	(1,107,889)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	224,620	(224,420)	-
ეფექტი 2018 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
საოპერაციო ხარჯები	(1,886,917)	(39,749)	(1,926,666)
ფინანსური ხარჯები	(39,749)	39,749	-

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

6. შემოსავალი

კომპანია შემოსავალს წარმოქმნის შემდეგი ორი ძირითადი პროდუქციის ხაზის კლიენტზე გადაცემის მომენტში:

	2019	2018
შემოსავალი გამდიდრებული ბორის იზოტოპების ექსპორტიდან	9,471,247	8,762,248
შემოსავალი გამდიდრებული ბორის იზოტოპების ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან	-	686,474
სულ შემოსავალი	9,471,247	9,448,722

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მის ფლობელ კომპანიაზე გამდიდრებული ბორის იზოტოპების B10 და B11-ის რეალიზაცია.

7. რეალიზაციის თვითღირებულება

	2019	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,329,948	1,997,983
სულ რეალიზაციის ღირებულება	1,329,948	1,997,983

გაციდული პროდუქციის თვითღირებულება შედგება შემდეგი ხარჯის მუხლებისგან:

	2019	2018
ნედლეული და მასალები	319,188	394,727
ხელფასი	359,086	516,607
ცვეთა	199,492	276,612
ელექტრო-ენერგია	79,797	65,928
სხვა საწარმოო ხარჯები	372,385	744,109
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,329,948	1,997,983

რეალიზებული პროდუქცია თვითღირებულება მოიცავს მიმდინარე წლის ცვეთას 32,382 ლარის ოდენობით.
 (2018 - 264,052 ლარი)

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ხარჯების განაწილების შესახებ ინფორმაციისთვის, გადახედეთ 11-ე შენიშვნას.

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ლარი)

8. საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	1,421,324	1,169,099
სამეურნეო ხარჯები	101,977	210,152
ცვეთა და ამორტიზაცია	81,277	98,372
მიმდინარე რემონტი	60,245	167,131
მიწოდების ხარჯები	50,076	53,358
საკონსულტაციო ხარჯები	37,885	-
ელექტრო-ენერგია	31,425	40,092
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	34,153	36,591
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,775	-
ბანკის საკომისიო	6,382	39,749
კომუნიკაციის ხარჯები	5,232	5,206
იჯარის ხარჯი	-	46,520
სხვა ხარჯები	21,455	60,396
სულ საოპერაციო ხარჯი	1,858,206	1,926,666

9. გაუფასურების ზარალი

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	30,037	-
გაცემული სესხების გაუფასურება	7,473	-
სულ გაუფასურების ზარალი	37,510	-

10. არასაოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
ანალიტიკური მომსახურება	392,102	-
საიჯარო შემოსავალი	182,696	162,768
სხვა შემოსავალი	26,922	26,726
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	601,720	189,494

2019 წელს კომპანიამ დაარსა ანალიტიკის განყოფილება, რომლის ფუნქცია არის წარმოებული პროდუქციის ხარისხის შეფასება, ეს დეპარტამენტი გარდა იმისა რომ შიდა მომსახურებას უწევს კომპანიას, ის ასევე უწევს მომსახურებას შპს "სი ფი აი ჯორჯიას", რომელიც ასევე აწარმოებს მსგავსი სახის პროდუქციას.

11. არასაოპერაციო ხარჯი

	2019	2018
ხელფასი	964,346	-
ცვთა და ამორტიზაცია	518,180	-
ნედლეული და მასალები	8,437	-
სხვა ხარჯები	339	1,608
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,491,302	1,608

2019 წლის დასაწყისში კომპანიას ჰქონდა საკმარისი პროდუქციის მარაგი, რათა წლის განმავლობაში სრულად დაეკმაყოფილებინა საბაზრო მოთხოვნა და შესაბამისად, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის თებერვლის თვიდან მთლიანად გაჩერდა პროდუქციის წარმოება. ამიტომ სახელფასო ხარჯის ნაწილი (799,608 ლარი) ეკუთვნის წარმოების თანამშრომლებს, რომლებიც რეალურად არ მუშაობდნენ, ხოლო ხელფასის მეორე ნაწილი (164,738) დაკავშირებულია ანალიტიკის განყოფილების თანამშრომლებთან. რაც შეეხება ცვთის ხარჯს, 422,659 ლარი დაკავშირებულია გამოუყენებელ მანქანა-დანადგარებთან, ხოლო მეორე ნახევარი (95,521 ლარი) ეკუთვნის ანალიტიკის განყოფილებას.

12. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
ფული და ფულის ეკვივალენტები	560,594	(550,810)	9,784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	307,062	(247)	306,815
საიჯარო ვალდებულება	-	(4,095)	(4,095)
გადებული სესხები	19,613	-	19,613
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	887,269	(555,152)	332,117

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
ფული და ფულის ეკვივალენტები	486,911	(390,403)	96,508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	58,266	(14,550)	43,716
გადებული სესხები	31,753	-	31,753
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30	-	30
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	576,960	(404,953)	172,007

13. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2019 წელს დარიცხულმა მოგების გადასახადმა შეადგინა 1,023,461 ლარი (2018: 738,982 ლარი)

შპს „სპეკტრა გეზის ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ლარი)

14. ძირითადი საშუალებები

ლორებული	მიწა	მიმდინარე მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
1 იანვარი, 2018	600,967	-	838,998	4,547,306	272,637	28,580	6,288,488
შეძენა	-	358,068	-	7,160	258	109,206	474,692
ტრანსფერი	-	(358,068)	-	341,007	17,061	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(537,582)	(79,235)	-	(616,817)
31 დეკემბერი, 2018	600,967	-	838,998	4,357,891	210,721	137,786	6,146,363
შეძენა	-	64,481	-	1,693,827	14,568	-	1,772,876
ტრანსფერი	-	(63,654)	-	54,299	9,355	-	-
ჩამოწერა	-	(827)	-	(11,578)	(4,795)	-	(17,200)
31 დეკემბერი, 2019	600,967	-	838,998	6,094,439	229,849	137,786	7,902,039
დაგრძელებული ცვეთა							
1 იანვარი, 2018	-	-	(212,031)	(3,364,643)	(192,182)	(26,444)	(3,795,300)
ცვეთის ხარჯი	-	-	(24,883)	(398,891)	(22,573)	(13,982)	(460,329)
ჩამოწერა	-	-	-	548,226	79,011	-	627,237
31 დეკემბერი, 2018	-	-	(236,914)	(3,215,308)	(135,744)	(40,426)	(3,628,392)
ცვეთის ხარჯი	-	-	(23,916)	(535,096)	(22,599)	(16,303)	(597,914)
ჩამოწერა	-	-	-	11,837	4,244	-	16,081
31 დეკემბერი, 2019	-	-	(260,830)	(3,738,567)	(154,099)	(56,729)	(4,210,225)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2018	600,967	-	626,967	1,182,663	80,455	2,136	2,493,188
31 დეკემბერი, 2018	600,967	-	602,084	1,142,583	74,977	97,360	2,517,971
31 დეკემბერი, 2019	600,967	-	578,168	2,355,872	75,750	81,057	3,691,814

სრულად გაცემითი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,824,185 ლარს, (2018 წლის 31 დეკემბერი - 267,301 ლარი)

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

15. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლებით 2018 წლის და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	სასაწყობე ფართი	სულ
თვითღირებულება		
31 დეკემბერი, 2018	-	-
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	63,657	63,657
31 დეკემბერი, 2019	63,657	63,657
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი, 2018	-	-
ცვეთის ხარჯი	(31,828)	(31,828)
31 დეკემბერი, 2019	(31,829)	(31,829)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი, 2018	-	-
31 დეკემბერი, 2019	31,829	31,829

ფასს 16-ის მიხედვით, კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანია ქირაობს სასაწყობე ფართს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ვადა ხელშეკრულების მიხედვით არის 5 თვე, კონტრაქტი მოიცავს უფლებას როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით წლიური საიჯარო გადასახადია 17,760 დოლარი წელიწადში. რადგან კომპანია ფლობს საკმარის სასაწყობე ფართს თავადაც, ხელმძღვანელობა აღარ გეგმავს რომ გაახანგრძლივოს საიჯარო ვადა და სანაცვლოდ გამოიყენოს მის შენობაში არსებული თავისუფალი სივრცე.

16. გაცემული სესხები

კომპანიას სესხები გაცემული აქვს შპს სი ფი აი ჯორჯიაზე. 2019 წლის საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 37,833 ლარი (2018: 53,080 ლარი). თითოეული სესხის ყოველთვიური შენატანი შეადგენს 2,792 აშშ დოლარს, რომელსაც მსესხებელი კომპანია გრაფიკის მიხედვით ფარავს.

	საპროცენტო მოქმედების			31-დეკ-19	31-დეკ-18
	ვალუტა	განაკვეთი	ვადა		
1530 6 -1 - შპს სი ფი აი ჯორჯია	USD	7.50%	02-01-21	107,616	179,246
1530 6 -2 - შპს სი ფი აი ჯორჯია	USD	7.50%	04-01-21	122,232	191,937
1530 6 -3 - შპს სი ფი აი ჯორჯია	USD	7.70%	07-01-21	143,818	210,239
გაცემული სესხების ანარიცხი				(7,473)	-
სულ გაცემული სესხები				366,193	581,422

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

16. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ანარიცხების ცვლილება თითოეული საანგარიშგებო წლის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

გაცემული სესხების გაუფასურება	2019	2018
ბალანსი წლის დასაწყისში	-	-
მიმდინარე წლის დარიცხვა	(7,473)	-
ბალანსი წლის ბოლოს	(7,473)	-

17. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნედლეული	1,136,396	1,053,607
მზა საქონელი	851,596	2,120,388
დაუმთავრებელი წარმოება	114,231	114,231
სხვა მარაგები	60,656	4,899
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,162,879	3,293,125

2019 წლის განმავლობაში პროდუქციის თვითღირებულება შედგება 32,382 ლარის ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯისგან (2018 წელს - 264,052 ლარი).

18. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საგადასახადო აქტივის, წმინდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 9,641 ლარი და ძირითადად შედგება წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა და აგრეთვე გადახდილი დღგ-ს თანხისგან. (2018 წლის 31 დეკემბრის - 442,995 ლარი)

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,497,068	895,920
სხვა მოთხოვნები	4,765	582
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(30,037)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,471,796	896,502

ზემოთ წარმოდგენილი სავაჭრო მოთხოვნა 1,497,068 ლარის ოდენობით კომპანიას აქვს შშობელი კომპანიის მიმართ.

ანარიცხების ცვლილება თითოეული საანგარიშგებო წლის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	2019	2018
გაუფასურების რეზერვი, 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის დარიცხვა	(30,037)	-
ბალანსი წლის ბოლოს	(30,037)	-

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

20. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფული ბანკში	834,561	1,028,167
ფული სალაროში	454	24
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	835,015	1,028,191

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო

21. მფლობელის კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1,000 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი - 1,000 ლარი), რომლის 100% ეკუთვნის აშშ-ში რეგისტრირებულ კომპანიას შპს სპექტრა ინვესტორს.

2019 წელს კომპანიამ გაქვითა მშობელი კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული მოთხოვნები გადასახდელ დივიდენდებთან ჯამში 5,799,611 ლარის ოდენობით (2018 წელს კი მიმდინარე წლის მსგავსად სავაჭრო მოთხოვნების გაქვითვა მოხდა 8,120,675 ლარის ოდენობით გადასახდელ დივიდენდებთან, ხოლო 5,524,436 ლარის სავაჭრო მოთხოვნა კი გაიქვითა კაპიტალის შემცირების ხარჯზე).

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ კომპანიებთან	162,355	95,997
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივ კომპანიებთან	20,408	27,413
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	182,763	123,410

23. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი: 24,584 და 0 ლარი, შესაბამისად.

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
თავდაპირველი აღიარებისას	63,657	-
საპროცენტო ხარჯი	3,496	-
გადახდები წლის განმავლობაში	(46,664)	-
საკურსო სხვაობა, წმინდა	4,005	-
ნაშთი წლის ბოლოს	24,584	-

31 დეკემბერი, 2019	1 year
საიჯარო გადახდები	25,041
ფინანსური ხარჯი	(457)
მიმდინარე ღირებულება	24,584

24. პირობითი ვალდებულებები, ხარჯები და საოპერაციო რისკები

სასამართლო პროცესი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ჩართულია სასამართლო დავაში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტთან, როგორც მოსარჩელე. დავა ეხება 2016 და 2017 წლების აუდიტის დასკვნის მიხედვით დაკისრებული 3,945,489 ლარის ჯარიმის თანხას. და კომპანიამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რათა გაასაპროტესტოს ჯარიმა. კომპანიის იურისტების შეფასებით 90%-ზე მეტი ალბათობით კომპანია მოიგებს აღნიშნულ დავას და შესაბამისად, ხელმძღვანელობის მოსაზრებით არანაირი არსებითი დანაკარგს არ მიიღებს კომპანია მიმდინარე პროცესისგან და არც ანარიცხი არ შექმნილა ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

პანდემიის გავრცელება და დაკავშირებული პირობითი ხარჯები

როგორც მითითებულია 27-ე ნოუთში, ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19)-ის ფართო გავრცელებას აქვს გავლენა გლობალურ და ლოკალურ საბაზრო პროცესებზე. ხარისხი, მასშტაბი და ხანგრძლივობა ამ გავლენის ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული და იგი დამოკიდებულია სხვადასხვა გარე ფაქტორზე.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები:	შენიშვნები	31-Dec-19	31-Dec-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	1,471,796	896,502
გაცემული სესხები	16	366,193	581,422
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	834,561	1,028,167
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს		2,672,550	2,506,091

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საკრედიტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

25. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

31 დეკემბერი, 2019

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	2,429,963	84,385	2,345,578
ევრო	235,347	-	235,347
სულ	2,665,310	84,385	2,580,925

31 დეკემბერი, 2018

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	1,461,773	354,495	1,107,278
ევრო	1,005,030	245,727	759,303
სულ	2,466,803	600,222	1,866,581

ლარის გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენა ექნებოდა მოგება/ზარალზე ქვემოთ მოცემული ღირებულებით:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	703,673	332,183
ევროს 30%-ით გამყარება	70,604	227,791
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(703,673)	(332,183)
ევროს 30%-ით გაუფასურება	(70,604)	(227,791)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

25. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-19	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	835,015	-	-	835,015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,471,796	-	-	1,471,796
გაცემული სესხები	331,318	34,875	-	366,193
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(182,763)	-	-	(182,763)
საიჯარო ვალდებულება	(24,584)	-	-	(24,584)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	2,430,782	34,875	-	2,465,657

31-დეკ-19	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,028,191	-	-	1,028,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	896,502	-	-	896,502
გაცემული სესხები	234,233	347,189	-	581,422
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(123,410)	-	-	(123,410)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	2,035,516	347,189	-	2,382,705

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობა		31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ურთიერთობის სახე		ნაშთი	ნაშთი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,467,031	-
შპს სპექტრა ინვესტორ	მშობელი კომპანია	1,467,031	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

მოგება-ზარალი		31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ურთიერთობის სახე		ნაშთი	ნაშთი
შემოსავალი		9,471,247	8,762,248
შპს სპექტრა ინვესტორ	მშობელი კომპანია	9,471,247	8,762,248
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		242,675	(14,490)
შპს სპექტრა ინვესტორ	მშობელი კომპანია	242,675	(14,490)

სხვა ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ხელმძღვანელობის ხელფასი	2019	2018
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	212,772	352,033

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 30 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღიღი კონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი სახელდა კოვიდ-19, რომელიც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად აღიარა პანდემიად 2020 წლის 11 მარტს. ამ კრიტიკული გარემოების შედეგად, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს გამოაცხადა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. შედეგად, კომპანია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რომელსაც შესაძლებელია გარკვეული უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე.

